შპს „ჯეოენტერპრაიზ“

ს/კ 404901077 ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, მარიჯანის ქ., N4, ბინა №2 ტელ- 577 55 88 77

„-15-„--მარტი--"2022 წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „ჯეო ენტერპრაიზ“ ქ.რუსთავში, მშვიდობის ქ. N12-ში, საკუთარ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 02.07.01.299) გეგმავს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციას. დაგეგმილია რკინის ჯართის (ფოლადი და თუჯი) გამოდნობა და სხვადასხვა სხმულების დამზადება.

რადგან, მეტალურგიული წარმოება წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I-დანართის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, გავლილი იქნა სკოპინგის პროცედურა და მიღებული იქნა 22.02.2021წ. N11 სკოპინგის დასკვნა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლისა და ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნის ძირითად ნაწილის მე-4; მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საკონსულტაციო კომპანია „სამნის“-ს მიერ მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით 2021 წლის 19 აგვისტოს წარდგენილი იქნა სამინისტროში. 2021 წლის 01 ოქტომბერს, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა გზშ-ს პროექტის საჯარო განხილვა.

ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში სამინისტროს 13/10/2021 წ. N10694/01 წერილით კომპანიას გამოეგზავნა შენიშვნები გზშ-ს ანგარიშში მოცემული საკითხების დაზუსტების მიზნით, მათ შორის საწარმოს მოწყობის სამუშაოების დაწყების გამო კომპანიას დაევალა გზშ-ს ანგარიში წარმოდგენილი იყოს ფაქტიურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მოხდა გზშ-ს ანგარიშის გადამუშავება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით 2021 წლის 27 ოქრომბერს წარდგენილი იქნა სამინისტროში.

სამინისტროს 09/11/2021 წ. N11615/01 წერილით ეცნობა კომპანიას, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეჩერებული იქნა, რადგან გზშ-ს ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მოხდა გზშ-ს ანგარიშის გადამუშავება ფაქტიურად არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

№ 5687
"16" 03 2022
2/5 +2CD

გარემოზდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, დაზუსტებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განაახლოთ ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

დანართი: გზშ-ს ანგარიში 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ზდგ-ს ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ნარჩენების მართვის გეგმა - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
საჯარო რეესტრის ამონაწერი;
Shp - ფაილები;
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

პატივისცემით,
ზურაბ მაღრაძე
დირექტორი

Legal address: 4/2Marijani str. 0186, Tbilisi, Georgia
Manufacture address: Kutaisi, 88 Avtomshenblis str. Kutaisi, Georgia
Tel: +995 577 558844, e-mail: info@geoenterprise.com.ge, Web: www.geoenterprise.com.ge